

როგორ გავაძლიეროთ
საპროტესტო მუხტი -
საფუძვლები

Backfire Basics

Brian Martin

2012

Translation: Giorgi Meladze

როგორ გავაძლიეროთ საპროტესტო მუხტი - საფუძვლები

საპროტესტო მუხტის გაძლიერების აუცილებელი წინაპირობები:

- მხილება: გამოავლინე უსამართლობა, არ მისცე დაფარვის შესაძლებლობა;
- ყურადღების ცენტრში მოქცევა: გამოაჩინე მსხვერპლი, არ დაუშვა თემის გაუფასურება;
- საკუთარი ვერსია: ხაზი გაუსვი უსამართლობას, გამორიცხე ორმაგი წაკითხვა;
- გადაჯგუფება: მოახდინე მომხრეთა მობილიზაცია, სიფრთხილით მოეკიდე კომუნიკაციის ოფიციალურ არხებს;
- წინააღმდეგობა: დაუპირისპირდი ზეწოლას და მოსყიდვის მცდელობას.

საპროტესტო მუხტის გაძლიერების მოდელი აერთიანებს ისეთ ტაქტიკურ სვლებს, რაც უსამართლობასთან დაპირისპირებისთვისაა აუცილებელი.

მუხტის გაძლიერება: რეჟიმის მხრიდან განხორციელებული შეტევა ზრდის საპროტესტო მუხტის გაჩენის ალბათობას, მეტ ყურადღებას იქცევს და მეტ მომხრეებს გაუჩენს მას, ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული უსამართლო შეტევა. ნებისმიერი უსამართლობა და წესრიგის დარღვევის ფაქტი შეიძლება გახდეს საპროტესტო ტალღის გამომწვევი.

საპროტესტო ტალღის გაძლიერებაზე საზოგადოებრივი აზრის კვლევა მიგვანიშნებს. ხშირ შემთხვევაში, გავლენიანი ჯგუფების მიერ ჩადენილი უსამართლობა, პასუხგაუცემელი რჩევა, რადგანაც მოძალადეები უკმაყოფილების მიჩქმალვასა და რეაქციის შესუსტებას ახერხებენ.

თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, რეჟიმისთვის ნაყოფიერი არ არის თავის დამპყრენის ტაქტიკა, როცა ის ცდილობს, გაექცეს უსამართლობით გამოწვეულ პროტესტს.

რეჟიმის ხუთი მეთოდი უსამართლობით გამოწვეული უკმაყოფილების შესამცირებლად:

1. ქმედების დაფარვა;
2. მსხვერპლის დაკნინება;
3. მომხდარის რეინტერპრეტაცია;
4. კომუნიკაციის ოფიციალური არხების გამოყენება, სამართლიანობის ეფექტის შესაქმნელად;
5. მოქმედი პირების დაშინება ან დაჯილდოება.



უკმაყოფილების შემცირების ხუთი მეთოდი და მათი კავშირი მოქმედებასთან, მის აღქმასთან და გამომდინარე რეაქციასთან

საპროტესტო მუხტის გაძლიერების ორი წინაპირობა:


1. მოქმედება აღიქმება როგორც უსამართლო, უკანონო, გადამეტებული,

არაპროპორციული;

2. მოქმედების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდა რელევანტურ აუდიტორიას.

უსამართლობის დროს უკმაყოფილების ზრდის ხუთი ხერხი:

1. ამხილე ფაქტი;
2. წარმოაჩინე მსხვერპლი;
3. ოფიციალურად არსებული ინტერპრეტაცია ამხილე როგორც უსამართლო;
4. მოახდინე უკმაყოფილო საზოგადოების მობილიზაცია (თავი აარიდე ოფიციალურ მედიას);
5. დაუპირისპირდი და ამხილე ჩაგვრისა და მოსყიდვის ნებისმიერი მცდელობა.



დამატებით გასათვალისწინებელია:

ინფორმაციის გავრცელებისას, დროულობას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. შეტყობინების ადრესატამდე მისვლაზე სამი ფაქტორი მოქმედებს:

1. მიმღებლობა: უსამართლობით გამოწვეული ზოგადი უკმაყოფილება; თუ ხალხი უკვე გაღიზიანებულია ძალადობით, ახალი ფაქტის მიმართ მათი რეაქცია უფრო ძლიერი იქნება. სოციალური მოძრაობები ქმნიან და ზრდიან მიმღებლობას.
2. საინფორმაციო ველი: ხილვადობა, მიჩქმალვა (სხვა ამბებთან შედარებით). სხვა რა ამბებია აქტუალური? თუ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიც ხდება, უსამართლობის ფაქტმა შეიძლება ვერ მიიპყროს სათანადო ყურადღება.
3. ქმედითუნარიანობა: საზოგადოებრივი მოძრაობების არსებობა ქმედების შესაძლებლობას ზრდის. როდესაც აქტივისტები მზად არიან მოქმედებისთვის, მოულოდნელ უსამართლობაზე პასუხის გაცემის მეტი შესაძლებლობა არსებობს და საპროტესტო მუხტის გაძლიერების ალბათობაც მაღალია.

პუბლიკაციები აღნიშნულ თემაზე

იხილეთ <http://www.bmartin.cc/pubs/backfire.html> (ან დაძებნეთ “Brian Martin backfire”), სადაც თავმოყრილია სხვადასხვა ტაქტიკის ანალიზი, რომელიც ცენზურის, ცილისწამების, სკოტ პარკინის დეპორტაციის, სექსუალური ძალადობის, მშვიდობიანი დემონსტრაციების, დახვრეტის, წამების, გენოციდისა და სხვა შემთხვევების დროს გამოიყენებოდა საპროტესტო მუხტის გასამლიერებლად.



პროტესტი სკოტ პარკინის ავსტრალიიდან დეპორტაციის წინააღმდეგ
Brian Martin, bmartin@uow.edu.au, phone 02-4221 3763

This version 26 February 2012